მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04/03-396
3 თებერვალი, 2014

ქ. თბილისის მერიას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:
ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
ბათილად იქნას ცნობილი ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

ფაქტობრივი გარემოებანი:

1. ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზ.№68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.14.10.002.006) რეგისტრირებულია შპს "ტიფლისი კოსტავა"-ს საკუთრების უფლება.

მტკიცებულება
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

2. ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 აგვისტოს №803471 ბრძანებით დადგენილი იქნა ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზ.№68-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006) სამშენებლოდ გამოყენების პირობები: განისაზღვრა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ფუნქცია - საზოგადოებრივი, ქალაქგეგმარებითი პარამეტრები - მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-1=0,2;

მტკიცებულება
ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 აგვისტოს №803471 ბრძანება.

3. ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 19.5 მუხლის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას,

რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი) ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასასვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. ამავე გადაწყვეტილების დანართი ერთის მე-8 პუნქტის თანახმად სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) სასტუმროს მშენებლობას ესაჭიროება სპეციალური ზონალური შეთანხმება.

ქ.თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულებით ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 17 ივლისის სხდომის №28 ოქმის შესაბამისად გაიცა ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ №68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, გაიზარდა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები და იგი განისაზღვრა კ1=0,5.

მტკიცებულება
ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 17 ივლისის სხდომის №28 ოქმი; ქ.თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულება.

4. ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზ.№68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006) სასტუმროს არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სამშენებლო სანებართვო მოწმობა დამკვეთზე (ირაკლი ჩირაძე პ/ნ01017022486).

მტკიცებულება
ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება.

5. 2014 წლის 08 იანვარს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ №04/03-389 განცხადებით მიმართ ქ.თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა ქ.თბილისში ი.ჭავჭავაძის გამზ №68-ში სასტურმოს მშენებლობასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მერის მიერ 2013 წლის 24 ივლისს გამოცემული №1592 განკარგულება და ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ა.წ. 31 იანვარს ჩაბარდა.

მტკიცებულება
ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს 2014 წლის 08 იანვრის №04/03-389 განცხადება.
ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 31 იანვრის #11/14009527 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მაშასადამე, ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე გასაჩივრებული - ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება - წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეთანხმდა ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზ.№68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006) სასტუმროს არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სამშენებლო სანებართვო მოწმობა, რომლითაც კონკრეტულ სუბიექტს, დამკვეთს ირაკლი ჩირაძეს (პ/ნ01017022486) მიენიჭა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის უფლება.

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარტლებრივი აქტი გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რის გამოც იგი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლის თანახმად განსაზღვრულია საჯარო და კერძო ინტერესები სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში. სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება - ხელყოფს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლით განსაზღვრულ საჯარო ინტერესებს, ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ეკოლოგიურ უფლებას და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. საქართველოს კონსტიტუციის 37.3 მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს და ასევე სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულ ფასეულობათა დაცვას. ბუნებათსარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისე, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების პარალელურად, დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო შენარჩუნდეს.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზ.№68-ში სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემით მესაკუთრისთვის გარემოზე ზემოქმედების ფართო თავისუფლების მინიჭება კონფლიქტში მოდის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან, უზრუნველყოს გარემოს დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს შესანარჩუნებლად.

3. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ1“ქვეპუნქტის თანახმად სარეკრეაციო ტერიტორია არის საქართველოს დასახლებული ან/და დაუსახლებელი ტერიტორია, რომლის განვითარების ძირითადი პოტენციალია ტურიზმი და რეკრეაცია და რომელიც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ბუნებრივ და კულტურულ კომპლექსებს, ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა დასვენებისათვის, მათი რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ამავე კანონის 4.1 მუხლის თანახმად ამ კანონის მიზანია დაადგინოს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის: ა) მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნისათვის; ბ) ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდისათვის; გ) კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარებისათვის;, ხოლო 4.2 მუხლის შესაბამისად . ამ კანონის ამოცანაა:
ა) ტერიტორიებისა და დასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპებით, რომლებიც ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური

გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას;
ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე სრულყოფილი, თანაბარი საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს და პირობების შექმნა („თანაბარი შესაძლებლობების სივრცე“);
გ) დასახლებათა პოლიცენტრული, მრავალფეროვანი და დაბალანსებული განვითარება;
დ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სივრცით-ტერიტორიული წინაპირობების შექმნა;
ე) ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;
ვ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
ზ) ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და აღდგენა;
თ) ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა;
ი) დასახლებათა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ფორმირებისათვის საფუძვლის შექმნა;
კ) დარგობრივი განვითარების პროგრამებისა და დარგობრივი გეგმების ინტეგრაცია სივრცით-ტერიტორიული განვითარების პოლიტიკასა და გეგმებში.

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანებით ნებადართული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები ემსახურება ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც პირდაპირ გამორიცხავს სარეკრეაციო რესურსების ეფექტიან გამოყენებას, დაცვას და მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნას.

4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მე-7 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით ხელმძღვანელობის ვალდებულება. კერძოდ, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. აქტის გამოცემის შემთხვევაში, გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული სასტუმროს მშენებლობით ზიანი ადგება საჯარო ინტერესებს, რომელიც დაცული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონმდებლობით.

ქ. თბილისის მერიის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებასაც, რომ ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება გამოცემულია ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1

აგვისტოს №803471 ბრძანებით სამშენებლო ნებართვის გაცემისათვის სავალდებულოდ განსაზღვრული პირობების შესრულების გარეშე. კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 1 აგვისტოს №803471 ბრძანების მიხედვით: ა) შენობა–ნაგებობა უნდა განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში თანახმად „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"–ს 34-ე მუხლისა; მშენებლობის ნებართვის დოკუმენტაციით დადასტურებულია, რომ საპროექტო შენობის გარე კონტური სცილდება საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრებს; ბ) ღია ავტოსადგომები უნდა განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში; მშენებლობის ნებართვის დოკუმენტაციაში ღია ავტოსადგომები საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არ არის გათვალისწინებული და შეუძლებელია მათი იქ განთავსება გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სიმცირის გამო. სასტუმროს დაახლოებით 100 (დამკვეთის მონაცემი) ნომრისთვის, სასტუმროში არსებული რესტორნისთვის და ოფისებისთვის, მომსახურე პერსონალისთვის (დამკვეთის განცხადებით იგეგმება 400 ადამიანის დასაქმება) 19 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი სრულიად არასაკმარისია. აშკარაა, რომ ავტომანქანების ძალზე დიდი რაოდენობა უნდა განთავსდეს საკადასტრო საზღვრებს გარეთ, პარკის ტერიტორიაზე, რისთვისაც მერიამ დამატებით უნდა გამოყოს მიწის ნაკვეთი და შეამციროს პარკის ტერიტორია, ან უნდა შეეგუოს ავტომანქანების გაზონებზე პარკირებას; გ) უნდა მოეწყოს პანდუსები უნარშეზღუდულთა ეტლის გადაადგილებისათვის. მშენებლობის ნებართვის დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული უნარშეზღუდულთათვის პანდუსების მოწყობის მოთხოვნა და ა.შ.

5. მიწის ნაკვეთი, რომელზეც სასტუმროს მშენებლობაა განსაზღვრული, დაფარულია მდიდარი და ხშირი მცენარეული საფარით. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№68-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006) არის პარკის მომიჯნავე ტერიტორია. ბუნებრივია, რომ სასტუმროს მშენებლობა გამოიწვევს არამხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის ფარგლებში არსებული მწვანე საფარის განადგურებას, არამედ საფრთხე ემუქრება პარკის ფუნქციონალური დატვირთვის სრულფასოვან განხორციელებასაც, ვინაიდან შეუძლებელი იქნება ასეთი მასშტაბების მქონე სასტუმროს ფუნქციონირებამ გავლენა არ მოახდინოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გარემოზე. აღნიშნულ ფუნქციათა შენარჩუნებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამას ემსახურება ზემოაღნიშნული ნორმების დანაწესები, რომლითაც უზრუნველყოფილია ტერიტორიების შენარჩუნება, განვითარება, დაცვა და არა სარეკრეაციო ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც განაპირობებს ამ ტერიტორიების ათვისებას და რეკრეაციული ფუნქციის მოსპობა-განადგურებას.

6. "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია) მე–2 მუხლის მე–5 პუნქტის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივარი ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795

ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დღემდე არ ჩაგვბარებია და არ გვეცნობა ოფიციალურად, ასოციაცია“მწვანე ალტერნატივა“ წარმოადგენს გარემოსდაცვით არასამტავრობო ორგანიზაციას და მაშასადამე, დაინტერესებულ პირს, არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში (ქ.თბილისის მერია), რის გამოც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში.
2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით.
3. ბათილად ცნოთ ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

დანართი: სულ 23 ფურცელი.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 2 ფურცელი;
2. ქ.თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულება, 1 ფურცელი.
3. ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება, 3 ფურცელი;
4. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 08 იანვრის №04/03-389 განცხადება, 1 ფურცელი; და ქ,თბილისის მერიის 2014 წლის 31 იანვრის №11/14009527 წერილი, 6 ფურცელი;
5. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წესდება, 7 ფურცელი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, 2 ფურცელი;
7. რწმუნება, 1 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი